საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №24/18

-- -- (მოპასუხის წარმომადგენელი) 2018 წლის 31 იანვრის №24 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 27 ივლისის №24/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან 2018 წლის 16 იანვარს წარადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის 24 საათით გადავადება. 2018 წლის 17 იანვარს მან სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით მოსამართლეს წარუდგინა მინდობილობა და სახელმწიფო ბაჟის ქვითარი. 2018 წლის 22 იანვარს მოსამართლემ მიიღო განჩინება შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, იმ საბაბით, რომ წარმოდგენილი არ იყო არც მინდობილობა და არც ბაჟის ქვითარი. აღნიშნულიდან გამომდინარე საჩივრის ავტორი მიუთითებს განჩინების კანონიერებაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- საქალაქო სასამართლოს წარმოებაში იყო -- -- სარჩელი, მოპასუხის -- -- მიმართ, მოპასუხისათვის მუსიკალური ნაწარმოების საჯაროდ შესრულების აკრძალვის მოთხოვნით.

2018 წლის 16 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე, მოპასუხემ წარადგინა შეგებებული სარჩელი, ხოლო 2018 წლის 17 იანვარს კანცელარიის საშუალებით მოსამართლეს დამატებით წარუდგინა მინდობილობა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით -- -- შეგებებული სარჩელი მოსამართლემ არ მიიღო განსახილველად, იმ საფუძვლით, რომ მოთხოვნა არ მიიჩნია შეგებებული სარჩელის საგნად, ასევე შეგებებული სარჩელის მოთხოვნა არ იყო მიმართული პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად და აგრეთვე სარჩელს არ ერთვოდა მინდობილობა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2018 წლის 22 ნოემბრის განჩინება 2018 წლის 26 იანვარს გასაჩივრდა კერძო საჩივრით.

-- სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა არ დასრულებულა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის Nდს-შ/9-16

გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ 2013 წლის 12 აპრილს №1/04-12 სადისციპლინო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტა განსხვავება დისციპლინურ გადაცდომასა და სამართლებრივ შეცდომას შორის. კერძოდ, ,,საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური გადაცდომისა და სამართლებრივი შეცდომის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, მოსამართლემ დაუშვა შეცდომა, მაგრამ იგი ექვემდებარება გამოსწორებას. შეცდომის გამოსწორების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრება, უსწორობის გასწორება, ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების გასაჩივრებით შესაძლებელია, ზემდგომმა სასამართლომ აღმოფხვრას ქვემდგომი სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა. უსწორობის გასწორებით, ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრით ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით კი, უშუალოდ შეცდომის დამშვები სასამართლო ასწორებს შეცდომას. ამდენად, ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია დაშვებული შეცდომის შეცვლა და მისი გამოსწორება იმავე ან ზემდგომი სასამართლოს მიერ, რაც გამორიცხავს რაიმე უარყოფითი შედეგის მიღებას. მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. აღნიშნული კვალიფიცირდება სამართლებრივ შეცდომად და დაუშვებელია ამ საფუძვლით მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაშვებული შეცდომის ხარისხს. თუ მოსამართლის მიერ დაშვებულია ისეთი უმნიშვნელო შეცდომა, რომელსაც არ მოჰყოლია მხარეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა და არც რაიმე უარყოფითი შედეგი მიღებულა, მაშინ მცირე დარღვევის გამო, ქმედება მიიჩნევა სამართლებრივ შეცდომად, თუმცა შესაძლებელია მოსამართლემ ისეთი შეცდომა დაუშვას,

რომელსაც შედეგად საჯარო წესრიგის დარღვევა მოჰყვეს. მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში, თუ დადგინდება, რომ მისი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, ხოლო, თუ ქმედება ექცევა სამართლებრივი შეცდომის ფარგლებში, მოსამართლე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული პრინციპის ურყევი შესრულება პირდაპირ არის დაკავშირებული მოსამართლის ხელშეუხებლობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებასთან.''

ყოველი საკითხი განხილვა საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას, ამ შემთხვევაშიც ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, თუ რა ზიანი მიადგა მხარეს მოსამართლის ქმედებით, კერძოდ შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმით. თუ გავეცნობით სადავო განჩინებას (22.01.2018) ვნახავთ, რომ შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი მხოლოდ მინდობილობის და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარუდგენლობა არ იყო, როგორც ამას საჩივრის ავტორი აღნიშნავს, არამედ ის გარემოებებიც რომ მოსამართლემ მოთხოვნა არ მიიჩნია შეგებებული სარჩელის საგნად და შეგებებული სარჩელის მოთხოვნა არ იყო მიმართული პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად. ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაშვებული შეცდომის ხარისხს. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის მიერ დაშვებულ შეცდომას არ მოყვეს მხარეების ფუნდამენტური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა. კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტია, რომ შეგებებული სარჩელის ავტორისათვის დადგებოდა იგივე შედეგი, მოსამართლეს რომ მისი წარდგენილი განცხადება გაეთვალისწინებინა. ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს მოსამართლის ქმედებას ზუსტად უნდა მიენიჭოს კვალიფიკაცია. მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში, თუ დადგინდება, რომ მისი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, ხოლო, თუ ქმედება ექცევა სამართლებრივი შეცდომის ფარგლებში, მოსამართლე უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №24/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი